პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 211 (6266)

1978 წ. 26 ოქტომბერი, ხუთშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ზეიმობს სიჭაბუკე

გუშინ, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა ქალაქ თბილისის კომკავშირული აქტივის მონაწილეობით.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ო. კულიშევი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი**, ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები და სტუმრები.

საპატიო პრეზიდიუმში სხდომის მონაწილენი დიდი აღმაფრენით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. შევარდნაძე**. მან კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცა საქართველოს კომპარტიის მისასალმებელი ადრესი და სამახსოვრო წითელი დროშა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჟ. შარტავამ**.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს**.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.



## მშვილდოსნობა

## ქეთევან ლოსაბერიძე — სსრ კავშირის თასის მფლობელი

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გუშინ გვიან დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მშვილდოსნობაში. სარბიელზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები გამოვიდნენ.

საბჭოთა მშვილდოსნებისთვის წლევანდელი სეზონი ერთობ უხვმოსავლიანი გამოდგა — ამ ასპარეზობამდე მათ სსრ კავშირის 18 რეკორდი გააუმჯობესეს, რომელთაგან 6 მსოფლიო მიღწევას აღემატება.

და აი, თასის გათამაშებაში მე-19 საკავშირო რეკორდის ავტორი გახდა თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ქეთევან ლოსაბერიძე, რომელმაც 70 მეტრზე 72 ისრის ტყორცნით 621 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი რვა ქულით სჯობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, დუშანბელი ზ. რუსტამოვას ადრინდელ მიღწევას.

ქეთევანმა ლიდერობა ხელთ იგდო ტურნირის პირველივე გასროლებიდან. 70 მეტრზე ასპარეზობით პირველ დღეს მან 318 ქულა მოაგროვა, რაც ამ დღის საუკეთესო შედეგი იყო. მართალია, მეორე დისტანციაზე — 60 მეტრზე სროლაში ირკუტსკელი ლ. შიკოტა უკეთ გამოვიდა (319 ქულა), მაგრამ ორი დისტანციის ჯამში ლიდერობა ლოსაბერიძემ შეინარჩუნა — 633 ქულა.

სამი დღის შემდეგ ქეთევანს 1897 ქულა ჰქონდა და შეჯიბრებას მტკიცედ ლიდერობდა.

გუშინ აშხაბადში ცნობილი გახდა სსრ კავშირის თასის მფლობელი ქალთა შორის მშვილდოსნობაში. საპატიო ჯილდო მოიხვეჭა ქეთევან ლოსაბერიძემ, რომელმაც ყველა დისტანციის ჯამში 2571 ქულა დააგროვა. მანვე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 50 მეტრზე სროლაში — 329 ქულა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ქეთევან ლოსაბერიძე.

ა. საკოვის ფოტო.




## ჭადრაკი

## დიდოსტატმა საათი გააჩერა

**ქუთაისი**, 25 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში გუშინ VII ტური გაიმართა. ზ. სტურუამ ე. გუფელდთან შეხვედრაში ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ გამსვლელი პაიკი შექმნა და როცა მან მე-7 ჰორიზონტალს მიაღწია, დიდოსტატმა საათი გააჩერა. გ. ზაიჩიკმა იერიში მიიტანა ვ. ოსნოსის მეფეზე და ქულა მოიპოვა. მ. დვორეცკისთან შეხვედრაში დ. გედევანიშვილმა მეტოქეს ორი ფიგურა შეწირა, მაგრამ შემდეგში იერიში ველარ განავითარა და პირველი დამარცხება განიცადა.

ყაიმით დასრულდა ი. ესტრინ — რ. ხოლმოვის, მ. პოდგაეც — ა. ლუტიკოვისა და ს. დოლმატოვ — ბ. გურგენიძის შეხვედრები.

ვ. ლერნერ — ზ. აზმაიფარაშვილის პარტია გადაიდო ქართველი მოჭადრაკისთვის უკეთეს მდგომარეობაში.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ქართველი მოჭადრაკეები: გურგენიძე და სტურუა — 4,5-4,5 ქულა. ლუტიკოვს, ხოლმოვსა და დვორეცკის — 4-4 ქულა აქვთ.

თ. გიორგაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მიმდინარეობს მორიგი ტური.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

## თხუთმეტი ტურის შემდეგ

ნიკოლაევში მოჭადრაკე ქალთა 38-ე საკავშირო ჩემპიონატში ჩატარდა გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. ზაიცევამ დაამარცხა ე. სტერნინა, თ. ხუგაშვილმა — ტ. ფომინა. თ. პედკომ წააგო ტ. მინოგინასა და ი. ლევიტინასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ტ. ვორონოვა — ლევიტინა, ნ. ტიტორენკო — ხუგაშვილი, ი. ერუსლანოვა — ტ. ჩეხოვა, სტერნინა — პედკო. ტ. ზატულოვსკაიამ დაუზავდა სტერნინასა და მინოგინას.

თხუთმეტი ტურის შემდეგ სემიონოვას აქვს 11 ქულა, ი. ლევიტინას 10,5 და ერთი გადადებული პარტია.

## რ. ფიშერი — ს. გლიგორიჩი?

აშშ-ს პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 1979 წელს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა რ. ფიშერმა შეიძლება ითამაშოს მატჩი იუგოსლაველ დიდოსტატ ს. გლიგორიჩთან. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ფიშერმა გადაწყვიტა შეეწყვიტა თავისი ექვსწლიანი ნებაყოფლობითი „განდასახლება“ და ჩავიდა ბელგრადს, სადაც შეხვდა იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლებს.

როგორც ირკვევა, უკვე ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობს საიდუმლო მოლაპარაკება ამ მატჩის თაობაზე, ორთაბრძოლის დაწყება ნავარაუდევია მომავალი წლის მარტში ბელგრადის სასახლე „სავაში“ და იგი გასტანს ერთ ან ორ თვეს.

იუპი-ს სააგენტო იუწყება, რომ ფიშერმა ერთი მილიონი დოლარი მოითხოვა ამ მატჩის მონაწილეებისთვის.

## ლოს-ანჯელესი — XXIII ოლიმპიადის სარბიელი

ცნობილი გახდა, რომ 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს აშშ-ს ქალაქი ლოს-ანჯელესი. 20 ოქტომბერს თეთრ სახლში გაიმართა ცერემონია, რომლის დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა და ლოს-ანჯელესის მერმა ტ. ბრედლიმ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც ლოს-ანჯელესს გარანტიას აძლევს ჩაატაროს თამაშები ოლიმპიური წესების თანახმად.

ლოს-ანჯელესი ერთხელ უკვე მასპინძლობდა ოლიმპიადას. ეს იყო 1932 წელს. 1970 და 1974 წლებში ამ ქალაქმა კვლავ წამოაყენა თავისი კანდიდატურა თამაშის მოწყობის თაობაზე, მაგრამ იძულებული გახდა ეს უფლება დაეთმო ჯერ მონრეალისთვის, შემდეგ კი მოსკოვისთვის.

## აფროსნობა

## ა. ცვეტკოვის „ვერცხლი“

შავ ზღვაზე სევასტოპოლის მიდამოებში გაიმართა აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წევრი, თბილისელი არმიელი ა. ცვეტკოვი. მან 38,4 საჯარიმო ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

## საპიროვა დამატებითი მატჩი

იტალიის ქალაქ არკოში (ტრენტოს პროვინცია) დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი შაშში. ტურნირის ორმა მონაწილემ — საბჭოთა სპორტსმენმა ა. განტვარგმა და მსოფლიო ჩემპიონმა ხ. ვირსმამ (ჰოლანდია) დააგროვეს ქულების ერთნაირი რაოდენობა — 15. მატჩი მსოფლიო პირველობისთვის მათ შორის უნდა გაიმართოს ჯაისად გაზაფხულზე იმავე ქალაქში.

## შაში

ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 3. ვ. შჩოგოლევი — 14, 4. მ. კორენიოვსკი — 13 (ორივე — სსრ კავშირი), 5. ი. ბასტიანეტი (ჰოლანდია) — 13, 6. ნ. მიშჩანსკი (სსრ კავშირი) — 12, 7. რ. კლერკი — 12, 8. ფ. დროსტი — 10 (ორივე — ჰოლანდია), 9. მ. დიაიე (მალი) — 9, 10. ნ. დიავი (სენეგალი) — 8, 11. ფ. ნიმბი (კონგო) — 6, 12. ო. ფერპოსტი (ბელგია) — 5.

## ფარიკაობა

## პოლონელთა უპირატესობით

**საქართველოს** სპორტკომიტეტის ფარიკაობის დარბაზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად გუნდური პირველობა ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. გუშინწინ კი აქ სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სტუდენტი მუშკეტერები მონაწილეობდნენ.

სულ სარბიელზე 80-ზე მეტი სპორტსმენი გამოვა.

პირველ დღეს გაიმართა რაპირისტთა პირადი პირველობა. ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა პოლონელმა ა. რობაკმა, მეორე ადგილზე გავიდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრი ბ. კორეცკი, მესამეზე კი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გ. აბაშიძე. პოლონელთა უპირატესობით აღინიშნა ქალთა შეჯიბრებაც. აქ უძლიერესი იყო დ. სკომსკა, მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ი. ვორობიოვა (სსრკ) და ა. დუბრავსკა (პოლონეთი). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლ. ბერაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა.

ასპარეზობის მეორე დღეს კვლავ წარმატებით იასპარეზეს პოლონელმა რაპირისტებმა; მათ გაიმარჯვეს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდურ პირველობაში. აღსანიშნავია, რომ სტუმართა კოლექტივში გამოდიოდნენ ჰამბურგში ამას წინათ დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები: დ. სკომსკა და ა. დუბრავსკა.

დღეს შეჯიბრებაში ხმლით მოფარიკავეები ჩაებმებიან.

ბ. თათეიშვილი.





# 25 წლის შემდეგ

**ლარსთან** ახლოს, დარიალში, ორი მდინარის — თერგისა და ქისტურის გასაყართან, იქ სადაც ხდის წყალი გახელებული ეხეთქება ნაპირს და ქათქათა მზეფებს საფანტივით ისვრის, სადაც ძაუგისკენ მიმავალ მარაგზას უერთდება ხეობის ვიწრო ბილიკი, სულ მალე წამოიმართება მთამსვლელური სპორტული ბაზის კომპლექსი. მშენებლობის ინიციატორი და სულისჩამდგმელია საქართველოს ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დიმიტრი ობოლაძე.

ახლა დარიალი ამინდის შესაფერისად იყო გაბრწყინებული და მორთული ნაირფერი კარვებით. დღეიდან აქ გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ალპინიადა იწყებდა სუხთქვას. ბაზაში ყველა მთამსვლელს და მათ შორის მეც, ამ სტრიქონების ავტორს, წინასწარ გვექირა მასპინძლის თადარიგი.

...ოცდახუთი წლის წინათ ესტუმრნენ გორელი სტუდენტები პირველად ხდეს. ხეობის რიგი მწვერვალები დაიპყრეს, შანის რაიონში, მორეულ სერებს იქით ჩაკარგული უსახელო მწვერვალიც დალაშქრეს და მას პირველამსვლელის უფლებით მშობლიური ქალაქის სახელი უწოდეს.

მაშინაც ალპინიადას დიმიტრი ობოლაძე ხელმძღვანელობდა, გორის პედინსტიტუტის მთამსვლელობის მასწავლებელი და თბილისის საქალაქო მთამსვლელური სექციის პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარე.

ამჯერადაც მწვერვალ „გორის" დალაშქვრა განეზრახათ სტუდენტებს, მეოთხედი საუკუნის წინანდელი ასვლის პატივსაცემად.

აკლიმატიზაციის მიზნით, მეორე დღესვე დავიწყეთ გადანაცვლება ზემოთ, მარწყვის ჭალისაკენ. ალიონზე შევუყევით მდინარის ნაპირს. ხეობაში ცრიატი ნისლია ჩაწოლილი და ძლივს ვკვლევთ ბილიკს. წუხანდელ ჭირხლს ბირკა ეკლები ყინულის ლოლუებად უქცევია. სუსხით გასალოდავებული, პაწაწინა თვალჭიოტა მცენარეები თავის აწევას ვერ ბედავენ და გასათბობად დედამიწას ეხუტებიან. მზემ მაინც მოახდინა სასწაული, გაარღვია ნისლი და დაცვარული კოკროჭინა ბალახები მარგალიტებივით აციმციმა. მარწყვის ჭალაში, სახელდახელოდ დაცემულმა ბანაკმა ჩვენც გამოგვიქეთა გუნება. ცეცხლი გავაჩაღეთ და სამზადისს შევუდექით. ორი დღის სამყოფი საგზლით და საჭურვლით გავძეძგეთ ზურგჩანთები და განთიადისას ავუყევით ქვანაყარ ფერდზე საკვამურივით ჩაკიდებულ ფერდობს. მიჯრით, ფრთხილად მივიწევთ წინ.

უსასრულოდ გრძელმა ნაშალმა მუხლი მოგვიფოლხვა და გული აგვიქოშინა. სიმაღლის ზრდასთან ერთად ჰაერი თხელდება და მაჭარივით გვესმევა. ალბათ სიცოცხლის ეს უჩვეულო ელექსირი გვამოკლებინებს გზას გორის ცირკამდე, საიდანაც იწყება ხოლმე მწვერვალზე იერიში.

სიცივემ თუ იერიშის მოლოდინმა ღელვით გაგვატარებინა ღამე და ადრევე წამოვიშალეთ. წესისამებრ ერთ მწკრივად დაწყობილები შევუყევით ციცაბოს. იდუმალ მყუდროებაში ჩაბუზნული ღამე წეროკინების წკაროთ გამოაფხიზლა.. მალე ერთმანეთის სილუეტებსაც მკაფიოდ ვარჩევთ.

ღამემ თანდათან იწყო გაცრეცა, გაფერმკრთალება. მერე, შემკრთალი, ნაპრალებში გაუჩინარდა. სადღაც, შორს ნაშალი ფერდი ჩამოზვავდა. განთიადი ზარ-ზეიმით შემოვიდა გარინდებულ ყინულოვან სამყაროში... ულამაზესმა ათინათმა ჯერ ნარინჯისფრად შეფერა, ხოლო შემდეგ მიწის მწვანე ატლასივით ააზხინა ცისდასალიერი.

შეუმჩნევლად ავიარეთ ბოლო აღმართი, დავძლიეთ ლიპი ყინულის ლავგარდანი და ღრუბლებს ზემოთ კოლუმბურივით წამომჯდარი მწვერვალიც... გამჭვირვალე ჰაერი მანძილს ამცირებს ჩვენსა და მწვერვალებს შორის: ხელებს გვიწვდიან მწვერვალები ყურო, შინო, შანი... ღიმილს არ გვაცილებს კავკასიონის მედიდურობის საწყისი, ოლედ გამდგარი მყინვარწვერი...

მწვერვალზე სამახსოვრო ემბლემას, მონაწილეთა სიას და წერილს ვტოვებთ: „გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები — სულ 36 კაცი, მათ შორის 9 ქალი ამოვიდა ჩრდილო-დასავლეთი ქედით მწვერვალ „გორზე". ასვლა ეძღვნება კომკავშირის მესამოცე წლისთავს. ამინდი ცვალებადია. ინსტრუქტორები და თანრიგოსანი მთამსვლელები ფ. ჯოხაძე, ზ. სუჯაშვილი, მ. თექთუმანიძე, გ. წიკლაური. 12 ოქტომბერი 1978 წელი". წერილს ხელს აწერს დღევანდელი ასვლისა და ალპინიადის უფროსი, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე დიმიტრი ობოლაძე.

ვეშვებით იმავე გზით...

საღამოს კი დარიალში ვბრუნდებით.

იერიშის კეთილად დამთავრების აღსანიშნავად, ბუხარში დანთებული ცეცხლივით ავაგუზგუზეთ „ნადიმი" — ბინდისას გორელებმა ტკბილხმიანი ქართული სიმღერებით გაათბეს გარემო.

...ახლა, გორის ახლომახლო სოფლებში კარალეთსა და ქიწნისში, ბერბუეთსა და მეჯვრისხევში გვიანი შემოდგომაა... ზანგულა კამეჩები წლის სარჩოთი დატვირთულ ურმებს ორღობეებში მიაჭრიალებენ. გაკრეფილი, ჭიგოს მიტმასნებული ვენახი მზეს ეფიცხება, ვაშლის ხეებს კი გამოფიტული კანი ასკდებათ ტანზე...

იქ კი, უღელტეხილს გადაღმა, ხევში „ჩითა-ფაფის" მომლოდინე ბალღები ბებერ დიდაკაცებს აფოფინდებიან კალთებზე...

ხდე ნისლივით დადარდიანებული და ზამთრის მოლოდინში ტოროტმანობს...

**ლილი გვარჯალაძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი.

* * *

**სურათებზე:** საზეიმო ხაზი „გორის ცირკში"; იდუმალი ყინულოვანი სამყარო.

ლ. გვარჯალაძისა და ლ. ღლონტის ფოტოები.

## ტანვარჯიში

### ორი ლიდერი

**საფრანგეთის** ქალაქ სტრასბურგში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. წარმატებით გამოდიან საბჭოთა ქალები, რომლებიც პირველი დღის შემდეგ (სავალდებულო პროგრამა) ლიდერობენ გუნდურ ჩათვლაში — 194 ქულა. მეორე ადგილზე არიან რუმინელი ტანმოვარჯიშეები — 192,25 ქულა.

პირად ჩათვლაში დაწინაურდა ორი საბჭოთა სპორტსმენი — ლენინსკუზნეცკელი მარია ფილატოვა და ნატალია შაპოშნიკოვა (დონის როსტოვი) — 39,1 ქულა თითოეულს. საინტერესოა, რომ საბჭოთა „დუეტი" ბრწყინვალედ გამოვიდა თავისუფალ ვარჯიშსა და ძელზე (9,9 ქულა), ხოლო დანარჩენ იარაღებზე 9,7 და 9,8 ქულა დაიმსახურა. მონრეალის აბსოლუტური ჩემპიონი, რუმინელი ნადია კომანეჩი მესამე ადგილზეა — 38,95 ქულა, ხოლო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი ელენე მუხინა — მეოთხეზე (38,9 ქულა).

დღეს, ნებისმიერი პროგრამის შესრულების შემდეგ, გამოვლინდება ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ხოლო შაბათს, ფინალური ასპარეზობა მრავალჭიდში დაასახელებს ჩემპიონებს პირად ჩათვლაში.

ვაჟთა შორის სავალდებულო პროგრამის შემდეგ წინ არის იაპონიის გუნდი — 290,15 ქულა, საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზეა — 287,2, გდრ-ის ტანმოვარჯიშეები — მესამეზე — 285. შემდეგ მოდიან აშშ-ის, გფრ-ისა და უნგრეთის გუნდები.

პირად შეჯიბრებას ვაჟებში იაპონელთა „ტრიო" ლიდერობს — სიგერუ კასამაცუ — 58,5 ქულა, ეიძო კენმოცუ — 58,4 და იუნისი სიმიძუ — 57,85. მომდევნო ადგილებზე არიან საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ალექსანდრე დიტიატინი — 57,75 და ნიკოლოზ ანდრიანოვი — 57,7 ქულა.

## უმაღლესი ლიგა

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის კალენდარულ შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები.

**„ლოკომოტივი" — „შახტიორი" 2:0 (0:0).** დონეცკელთა კარში ბურთები მეორე ტაიმში გაიტანეს პეტრაკოვმა და შევჩუკმა.

**დუბლიორები — 0:0.**

**„დნეპრი" — „ზენიტი" 2:1 (2:1).** 22-ე წუთისთვის მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (დემიანენკო, კუცევი). ამის შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა კლემენტიევმა.

გაფრთხილებულია კოვალიოვი („დნეპრი").

**დუბლიორები — 0:2.**

**„სპარტაკი" — „ნეფთჩი" 5:1 (1:0).** პირველ ტაიმში სპარტაკელებმა მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას (შავლო). შემდეგ იმავე შავლომ, იარცევმა (ორჯერ) და გავრილოვმა კიდევ 4 ბურთი გაიტანეს „ნეფთჩის" კარში. ერთადერთი გოლის გაქვითვა ტ. აბასოვმა შეძლო პენალტით.

გაფრთხილებული არიან ბაქოელები იბრაჰიმოვი და ალიევი.

**დუბლიორები — 8:2.**

**„ქაირათი" — „ზარია" 2:1 (1:1).** ალმაათელი ნიკიტენკოს მიერ გატანილი გოლი 32-ე წუთზე გაქვითა მალიშენკომ, მაგრამ შესვენების შემდეგ გოროხოვოდაცკიმ კვლავ გაიყვანა წინ „ქაირათი".

**დუბლიორები — 4:0.**

**„ფახთაქორი" — „დინამო" მ. 0:0.**

**დუბლიორები — 0:0.**

**„ტორპედო" — „ჩერნომორეცი" 2:2 (1:2).** სტუმართაგან ბურთები [illegible] პლოსკინამ და ლე[illegible] შჩუკმა, ხოლო „ტორპედოს" მხრივ — სახაროვმა და ვასილიევმა. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ერევნელმა მსაჯმა გ. ნალბანდიანმა დანიშნა 3 პენალტი. პლოსკინამ ზუსტად დაარტყა ტორპედოელთა კარში, „ჩერნომორეცის" მეკარე რომენსკიმ კი შეძლო ვასილიევის და ვანიუშკინის დარტყმების მოგერიება.

გაფრთხილებულია ტორპედოელი სუჩილინი.

**დუბლიორები — 1:0.**

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

**ასკ (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

არმიელებმა ქელეხიძემ და რამიშვილმა შესვენებისთვის 2 ბურთი გაიტანეს „დურუჯის" კარში. შემდგომში სტუმრებმა გააძლიერეს თამაში, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს (ტაკაშვილი).

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

მას შემდეგ, რაც გუჩუამ და ტროშინმა 2 ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში, ამ უკანასკნელთ მიეცათ მდგომარეობის ერთგვარი გამოსწორების საშუალება, მაგრამ კაკალაძემ კარს ააცილა 11-მეტრიანი დარტყმა.

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „მერცხალი" (მახარაძე) 4:3. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ცანავამ, გაგუამ, ოდიშარიამ და მურვანიძემ. მახარაძელთა სამივე გოლის ავტორია წიკლაური.

## საფეხბურთო კალეიდოსკოპი

**„მაღაროელი" (ჭიათურა) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

სტუმრების კარში ორივე ბურთი გაიტანა მაღრაძემ. საპასუხო გოლი ეკუთვნის ყაულაშვილს.

**„ნადიკვარი" (თელავი) — „მზიური" (გალი) 2:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).**

მატჩი ჩატარდა საინტერესოდ, ორმხრივი იერიშებით. თამაშის დამთავრებას სულ 4 წუთი აკლდა, ანგარიში კი არ ჩანდა. ამ მცირე დროში ბ. ჩაჩელაშვილმა და რომ. ცარეკიძემ ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს „მზიურის" კარში.

**„ივერია" (ხაშური) — „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) 1:0. მსაჯი გ. სულაძე (თბილისი).**

მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა ნოზაძის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა.

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „სპარტაკი" (თბილისი) 1:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).**

**ასკ (თბილისი) — „მზიური" (გალი) 2:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

ანგარიში არმიელმა რამიშვილმა გახსნა 11-მეტრიანი დარტყმით, შემდეგ კი გოგიტიძემ მეორედ აიღო გალელთა კარი. მეორე ტაიმში „მზიურმა" სრული გარდატეხა შეიტანა თამაშში და ოსტროვსკის ზუსტი დარტყმების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა.

## საკავშირო ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობა[illegible]

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 27 | 17 | 4 | 6 | 39—18 |
| ცსკა | 27 | 14 | 10 | 3 | 41—23 |
| „დინამო" მ. | 27 | 12 | 9 | 6 | 32—19 |
| „შახტიორი" | 27 | 12 | 7 | 8 | 32—21 |
| „ნეფთჩი" | 26 | 12 | 6 | 8 | 38—35 |
| „დინამო" კ. | 26 | 12 | 6 | 8 | 28—24 |
| „არარატი" | 26 | 10 | 10 | 6 | 35—24 |
| „სპარტაკი" | 27 | 11 | 5 | 11 | 46—27 |
| „ტორპედო" | 27 | 11 | 5 | 11 | 38—33 |
| „ჩერნომორ." | 27 | 10 | 9 | 10 | 23—31 |
| „ქაირათი" | 27 | 8 | 8 | 11 | 33—35 |
| „ფახთაქ." | 26 | 7 | 10 | 9 | 26—29 |
| „ზენიტი" | 25 | 6 | 8 | 11 | 27—42 |
| „ლოკომოტ." | 27 | 6 | 8 | 13 | 23—39 |
| „ზარია" | 27 | 5 | 6 | 16 | 24—59 |
| „დნეპრი" | 27 | 0 | 11 | 16 | 17—44 |

**შენიშვნა:** ცხრილში შეტანილი არაა კიევის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" შეხვედრის შედეგი.

## ფეხბურთი

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:1. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

ცანავასი და მურვანიძის 2 გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ლომსაძე).

**„მერცხალი" (მახარაძე) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:2. მსაჯი [illegible] ღონღაძე (თბილისი).**

ანგარიში უკვე მე-5 წუთზე გახსნა მახარაძელმა აბაშიძემ. ტყიბულელებმა ტაიმის დამთავრებამდე შეძლეს წინასწრობის აღდგენა (გამყრელიძე), შემდეგ კი [illegible]გნიძემ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „მერცხალის" კარში.

**„დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

ყვარლელმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს (ტაკაშვილი, ღონღაძე).

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:0. მსაჯი [illegible] კანდელაკი (თბილისი).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ნადიკვარი" (თელავი) 3:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

სტუმართა კარი პირველ ტაიმში სამჯერ აიღეს ფრიდონიშვილმა, კვარაცხელიამ და ბახტაძემ. შესვენების შემდეგ თელაველებმა გამოასწორეს თამაში, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ ცვლილება ანგარიშში ვერ შეიტანეს.

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „სპარტაკი" (თბილისი) 4:2. მსაჯი [illegible] კობიაშვილი (გორი).**

### გათამაშების ცხრილი
### I ჯგუფი

მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" ფ. | 36 | 23 | 8 | 5 | 77—29 |
| „მეშახტე" | 36 | 22 | 9 | 5 | 57—29 |
| „მეტალ." რ. | 38 | 23 | 6 | 9 | 60—29 |
| „მზიური" | 38 | 23 | 6 | 9 | 64—34 |
| „ენერგეტ." | 41 | 18 | 10 | 13 | 55—43 |
| „მაღაროელი" | 38 | 17 | 10 | 11 | 67—55 |
| „მერცხალი" | 36 | 15 | 11 | 10 | 52—35 |
| „კოლხეთი" ხ. | 36 | 14 | 11 | 11 | 36—34 |
| „ამირანი" | 39 | 16 | 7 | 16 | 34—46 |
| „ივერია" | 38 | 15 | 8 | 15 | 32—44 |
| ასკ თბ. | 33 | 13 | 11 | 9 | 37—31 |
| „სალხინო" | 38 | 13 | 10 | 15 | 52—70 |
| „ნადიკვარი" | 37 | 11 | 13 | 13 | 47—49 |
| „სქური" | 38 | 14 | 7 | 17 | 50—51 |
| ფიზკ. ინსტ. | 39 | 15 | 5 | 19 | 45—65 |
| პოლ. ინსტ. | 39 | 15 | 4 | 20 | 58—59 |
| „მეტალ." ზ. | 38 | 11 | 12 | 15 | 52—60 |
| „სპარტ." თბ. | 36 | 13 | 6 | 17 | 42—50 |
| „სპარტ." ც. | 36 | 11 | 9 | 16 | 54—55 |
| „ეგრისი" | 38 | 10 | 11 | 17 | 33—50 |
| „ჩიხურა" | 38 | 10 | 9 | 19 | 50—62 |
| „დურუჯი" | 38 | 12 | 4 | 22 | 30—51 |

# არ-გენ-ტი-ნა!



კემპესი.

# დიდი ფეხბურთის ზეიმი

**ფინალის** შემდეგ, ნაშუაღამევს, ესპანეთის ავიაკომპანია „იბერიის“ თვითმფრინავით მადრიდში გავფრინდით და თან გავიყოლიეთ ბოლო ფიესტის წარუშლელი შთაბეჭდილებები. პრესას ჩემპიონატის საბოლოო შედეგებზე ესპანური წყაროებით გავეცანით, სადაც ბევრ საინტერესო მასალას წავაწყდით. ამავე დროს თან გვქონდა წაღებული პრეს-ცენტრის საგანგებო ბიულეტენები, რომლებიც ორგანიზატორებმა სარეკორდოდ მოკლე დროში გამოუშვეს — სულ რაღაც 2-3 საათში ფინალის დამთავრების შემდეგ. ამ ბიულეტენებში აღმოჩნდა სპეციალისტთა მოსაზრებები ჩემპიონატის მთავარ მატჩზე, რომლებსაც გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით:

**პელე** (ფინალური მატჩის დაწყებამდე): „ჰოლანდიელთა გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარება. ეს გუნდი ღირსია ოქროს მედლების, მაგრამ თუ არგენტინელები დამარწმუნებენ რომ ვცდები, მოწიწებით მოვიხდი სომბრეროს მათ წინაშე“.

**პელე** (თამაშის შემდეგ): „არგენტინის გამარჯვება, პირველ რიგში, სამხრეთამერიკული ფეხბურთის გამარჯვებაა, რომელიც დღეისთვის უძლიერესია მსოფლიოში. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ასეთ შედეგს არ მოველოდი, ამიტომ ბოდიშს ვიხდი მენოტისა და მისი გუნდის წინაშე. თურმე, არა მცოდნია არგენტინელთა ნამდვილი ძალა, არ მცოდნია ამ ბრწყინვალე კოლექტივის პოტენციალი. თუმცა, ჰოლანდიელებიც ახლოს იყვნენ მიზანთან“ (პელეს მხედველობაში აქვს რენსენბრინკის დარტყმა 90-ე წუთზე, რომელიც ძელს მოხვდა).

**კრუიფი** ჩემპიონატს არ დასწრებია. ფინალის დღეს იგი ლონდონში იმყოფებოდა. გაზეთ „კლარინის“ კორესპონდენტმა ტელეფონით ჩამოართვა მას ინტერვიუ სასტუმროში: „ჩემი გუნდი, ტრადიციულად, ჩემპიონატის მსვლელობაში შედის ფორმაში. ეს მინუსია, ჰოლანდიური ხასიათის ნაკლი, რომელმაც ბევრჯერ ცუდი სამსახური გაგვიწია. ტელევიზია ერთიან წარმოდგენას ვერ ქმნის მატჩზე, ამიტომ ჩემი მოსაზრება შესაძლებელია საკამათოც იყოს, მაგრამ ვფიქრობ არბიტრმა ცუდად იმსაჯა, იგი ხშირად ცდებოდა და როგორც წესი მხოლოდ არგენტინელთა სასარგებლოდ. ჩვენ ჯარიმებს ვილებდით კრიტიკულ მომენტებში, მასპინძლები კი ნეიტრალურ სიტუაციებში. ვნანობ, რომ არ ვითამაშე ამ ჩემპიონატში. რა შანსი დავკარგეთ! რა ახლოს ვეყავით მიზანთან!“.

იმავე გაზეთის კორესპონდენტი **დი სტეფანომ** არგენტინელთა გასახდელში შეხვდა. იგი წარმატებას ულოცავდა მენოტის. სხვათა შორის, აქვე ყოფილა არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხუან კარლოს ლორენსო, მენოტის პრინციპებისა და დღევანდელი გუნდის დაუძინებელი მტერი. მან პირდაპირი პასუხი არ გასცა კორესპონდენტის შეკითხვას, მაგრამ აღნიშნა, რომ თანამემამულეთა გამარჯვებამ დიდად გაახარა. შემდეგ საუბარში ჩაერია დი სტეფანო: „ამ შეკითხვას დღეს უკვე მეორედ მაძლევენ — არის თუ არა არგენტინის ჯუნდი მსოფლიოში უძლიერესი? პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია. მსოფლიოს ჩემპიონმა არა მარტო უნდა მოიგოს მთავარი მატჩი, არამედ დაამტკიცოს კიდეც თავისი მაღალი ტიტული. ამას კი დრო სჭირდება. ჩემპიონატის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მენოტის გამარჯვება დამსახურებულია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ არგენტინა უსათუოდ მოიგებდა ჩემპიონატს სხვა ქვეყანაში. რაც შეეხება ჰოლანდიურ ფეხბურთს, ვფიქრობ, იგი დღესაც ტოტალურია, მაგრამ კრუიფის გარეშე მას აშკარად დააკლდა ხარისხი და ძველებური ბრწყინვალება. არ მომეწონა გონელის მსაჯობა, თუმცა სოლიდარობას ვუცხადებ იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ არბიტრის შეცდომებს გავლენა არ მოუხდენია შედეგზე“.

**ერერა**: „მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიას უფრო ლამაზი ფინალებიც ახსოვს, მაგრამ ასეთი დაძაბული და დრამატული არც ერთი არ ყოფილა. ჰოლანდიელთა გამარჯვებაში არც მე მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ როგორც კი დაიწყო მესამე ტაიმი, დავრწმუნდი, რომ ეს კარგი გუნდი ამჯერადაც განწირული იყო. მენოტის ოქროს მედლები სჭირდებოდა თავისი პრინციპების დასადგენად და ვინაიდან ეს მოხდა, დარწმუნებული ვარ, არგენტინა ამიერიდან წამყვან როლს ითამაშებს მსოფლიო ფეხბურთში“.

**რეპი** (მატჩის შემდეგ): „სხვა ქვეყანაში არგენტინა ჩემპიონი ვერ გახდებოდა, თუმცა ადვილი შესაძლებელია არც ჩვენ გავსულიყავით ფინალში. რაში გვჯობს ჩემპიონი? იმაში, რომ ჩვენზე უკეთ იცის გოლის გატანა. ეს მისი ღირსებაა და ყველამ უნდა აღიაროს იგი. გონელას პიროვნებამ ჩემზე ორგვარი შთაბეჭდილება დატოვა: ზოგჯერ მეცოდებოდა, იმდენად უსუსური იყო, ზოგჯერ კი მინდორზევე მინდოდა გამეგლიჯა. ის, რომ გონელა ტრიბუნების გავლენის ქვეშ მოექცა ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე, — უდავოა, მაგრამ არა მგონია, რომ რაიმე წინასწარი განზრახვა ჰქონოდა. უბრალოდ, ასეთი ხასიათის ადამიანმა ფინალი არ უნდა იმსაჯოს. ამბობენ, გონელას შეცდომებს ანგარიშზე გავლენა არ მოუხდენიაო. მართალია, მაგრამ რატომ გვავიწყდება გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა? გონელა ცდებოდა ტრიბუნების გავლენის შედეგად — ეს მჯერა, მაგრამ ამ შეცდომებმა, რომლებიც, როგორც წესი, არგენტინელებისთვის იყო მუდამ ხელსაყრელი, ჩვენს გუნდს შეუქმნა აშკარად საზიანო ფსიქოლოგიური კომპლექსი. სხვა პრეტენზია არბიტრის მიმართ არა მაქვს, მაგრამ განა ეს ცოტაა“.

**მიხელსი**: „რამ განაპირობა არგენტინელთა წარმატება ამ ჩემპიონატში? ჩემი აზრით, მიზნის კონკრეტულობამ, სამხრეთელი ხალხისთვის დამახასიათებელმა შთაგონების უნარმა და კიდევ დიდმა აღმაფრენამ, რომელიც თავიდანვე გასცდა წმინდა სპორტულ ჩარჩოებს და ეროვნული ხასიათი მიიღო. კონკრეტული მიზანი სხვებსაც ჰქონდათ, აი თუნდაც ბრაზილიელებს, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში მოკლებული იყო რეალურ საფუძველს, მიზანთან ახლოს იდგა ჰოლანდიაც, მაგრამ მას სხვა თვისებები აკლდა — შთაგონება და აღმაფრენა. ევროპა ვერასოდეს ვერ შექმნის ასეთ ორგანიზებულ და გამიზნულ საფეხბურთო აუდიტორიას. ევროპას არ შეუძლია ფეხბურთი აიყვანოს ეროვნული ღირსების დონემდე. ცივილიზებული ევროპა უფრო რაციონალურია, უფრო ცივია და ნაკლებად რომანტიული. სამხრეთ ამერიკის მიწაზე ასეთი თვისებებით ბევრს ვერ მიაღწევ“...

ბოლო, გამოსამშვიდობებელ პრეს-კონფერენციაზე, სავსებით გასაგები მიზეზებით, არ გამოცხადდა ჰაპელი, ჰოლანდიის ნაკრების უფროსი მწვრთნელი:

— გუნდთან საქმე აღარა მაქვს, — სინანულით თქვა მან, — ჩემი მისია ამოიწურა, მოძებნეთ სხვა კანდიდატურა და მას დაავლიჯეთ ნერვები. მე ყელამდე ვარ პატივნაცემი მსაჯობით. მეყოფა!

მენოტი შესანიშნავ ხასიათზე იყო და ხალისით იძლეოდა პასუხებს შეკითხვებზე. თავისი ვრცელი საჩემპიონო მონოლოგი მან ასე დაიწყო:

— ჰოლანდიელებს შეტევაში ვაჯობეთ — ეს არის ჩვენი გამარჯვების თავი და ბოლო. მერე მან უფრო ზუსტად განმარტა ამ აზრის მნიშვნელობა.

— დღეს ჩვენ შევძელით დაგვემტკიცებინა, რომ მსოფლიო თასის მოგების უნარი შესწევს მხოლოდ კოლექტივს, კოლექტივს და არა ვარსკვლავებისგან შემდგარ გუნდს. ფინალის მთავარი დევიზი იყო ფორვარდების წინსწრაფვა. ასე ვთამაშობდით ჩვენ, ასე თამაშობდნენ ჰოლანდიელები. დამატებით დროში სისწრაფე გავზარდეთ და ამან გამარჯვება მოგვიტანა.

— არის თუ არა თქვენი გუნდი მსოფლიოში უძლიერესი?

— ამას ხელაღებით მტკიცება ძნელია. მაგრამ დამიმტკიცეთ საპირისპირო და მე გავჩუმდები.

— თუ გქონდათ გამარჯვების მტკიცე იმედი?

— იმედის გარეშე ადამიანი არაფერია. ამ იმედს გუნდში ვნერგავდი როგორც რელიგიას.

— ნიშნავს თუ არა თქვენი გამარჯვება ლათინური ფეხბურთის უპირატესობას ევროპულზე?

— ამ ჩემპიონატში დაემხო ევროპული ფეხბურთის ლიდერი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, გუნდი, რომელიც წლების მანძილზე რაციონალური ფეხბურთის ეტალონად ითვლებოდა. ჩვენ პირველები ვართ, ბრაზილია — მესამე. ესე იგი, სამხრეთამერიკული ფეხბურთი ილუზია არა ყოფილა, ეს რეალური ძალაა. მაგრამ იმას ვერ ვიტყვი, რომ საბოლოოდ ვაჯობეთ ევროპას. აზროვნება ფეხბურთში ევროპიდან მოდის და ეს წყარო რომ დაშრეს, ფეხბურთი ბევრს დაკარგავს. ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ დავამტკიცეთ — თამაში ვიცით!

— თქვენ ბევრს ლაპარაკობთ შეტევის მნიშვნელობაზე, ნუთუ მხოლოდ ეს იყო გამარჯვების მიზეზი?

— შეტევის როლი თანამედროვე ფეხბურთში განუზომელია. მაგრამ დღევანდელ გამარჯვებას სხვა ბევრი მიზეზიც ახლავს. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ არგენტინის ისტორიაში პირველად ნაკრები გუნდი სერიოზულად მოემზადა ტურნირისთვის. და თუ ასეთი სამზადისი ტრადიციად გადაიქცევა, მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში ერთ მნიშვნელოვან ადგილს დიდხანს არ დავკარგავთ.

— რა უნდა შეიცვალოს არგენტინის ფეხბურთში?

— მაღალი კლასის ფეხბურთელები არგენტინაში მუდამ იყვნენ. ისინი მომავალშიც გვეყოლებიან. ამ მხრივ საგანგაშო არაფერია. ჩვენი დაუძინებელი მტერია იმპროვიზაცია. ამას ბოლო უნდა მოეღოს. იმპროვიზაცია თამაშის საშუალებად, ფორმად უნდა გადავაქციოთ და არა თვითმიზნად. არ ვიცი, გაიზიარებენ თუ არა ამ აზრს ჩემი კოლეგები, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის უნდა ვემზადოთ ისე, როგორც ემზადებიან ევროპელები.

— გააგრძელებთ თუ არა გუნდთან მუშაობას მომავალშიც?

— არა მგონია, ენერგია არ მეყოფა!

მენოტი სიმართლეს ამბობდა, თუმცა, ყველა არგუმენტის ჩამოთვლას მან შეგნებულად მოარიდა თავი. მსოფლიოს ახალი ჩემპიონის მწვრთნელის კონტრაქტის ვადა ამოიწურა ფინალის მეორე დღეს, 26 ივნისს დღის 4 საათზე. მენოტიმ ამ დროისთვის უკვე იცოდა, რომ გუნდს იმ შემადგენლობით, როგორიც ფინალში იყო, ვერასოდეს მოუყრიდა თავს. არგენტინას ტოვებდნენ გამარჯვებული ჩემპიონები — კემპესი, ბერტონი, ტარანტინი, ოლგინი, ლუკე, ორდილესი, ვილა, ტოვებდნენ და ევროპაში მიემგზავრებოდნენ ბედის საძებნელად. ასეთია არგენტინული ფეხბურთის მწარე სინამდვილე, რომელსაც ერთი კაცი, რა თქმა უნდა, ვერ მოერევა.

მაგრამ იმ დღეს მენოტი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა თავის მომავალზე, ახალ კონტრაქტზე. თვალებგაბრწყინებული და უზომოდ დაღლილი მილოცვების მილებას ვერც ასწრებდა და მხოლოდ იმით იყო ბედნიერი, რომ ყველას დაუმტკიცა თავისი სიმართლე. მენოტიმ მოიგო უდიდესი ბრძოლა არგენტინაში, ბრძოლა, რომელმაც მას ნახევარი სიცოცხლე წაართვა.

თავიანთი უახლოესი მეზობლის ტრიუმფი ბრაზილიელებმა მტკივნეულად განიცადეს. ფინალის შემდეგ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა კუტინიომ, ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რო-



რენსენბრინკი.

გორ აფასებს არგენტინელთა გამარჯვებას, გაღიზიანებულმა თქვა:

— არგენტინამ მიიღო ის, რაც არ ეკუთვნოდა. ჩვენ კი ამ ტურნირში არც ერთი მატჩი არ წაგვაგეთ, ამიტომ თავს მორალურ ჩემპიონად ვთვლით. ვფიქრობ, ამის უარყოფა მენოტისაც გაუჭირდება.

მენოტი მართლაც არ უარყოფდა ამას, მაგრამ ბრაზილიელი კოლეგის სიტყვები მაინც თავისებურად განმარტა:

— კუტინიოს, რა თქმა უნდა, ვულოცავ მორალურ გამარჯვებას, თუ კი ეს რამეს ნიშნავს. სხვა რომ არაფერი, დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და არასდროს ვყოფილვართ კონკურენტები. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, სიხარულით მიიღებს ამ მილოცვას და, თავის მხრივ, ჩვენც მოგვილოცავს რეალურ ჩემპიონობას.

მაინც რა არის ეს ტერმინი — მორალური ჩემპიონობა? რა ჰქონდა მხედველობაში კუტინიოს, როცა წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა? იქნებ იმას, რომ ბრაზილიამ ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო? სხვათა შორის, ეს მოსაზრება იმდენად პოპულარული იყო ბრაზილიაში, რომ ღირს მასზე საგანგებოდ შეჩერება.

ბრაზილიელებმა, მართლაც, არც ერთი მატჩი არ წააგეს არგენტინაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უძლიერესი სწორედ ისინი იყვნენ. საერთოდ, ასეთი ლაპარაკი უკვე მომხდარ და დადგენილ ფაქტზე, სხვა თუ არაფერი, სოლიდურობასაა მოკლებული. რა შუაშია აქ მორალური ჩემპიონობა, როცა მთელი სამი კვირის მანძილზე მსოფლიოს 16 უძლიერესი გუნდი ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძოდა იმისთვის, რასაც მხოლოდ ერთმა — არგენტინამ მიაღწია?

მაგრამ დროებით დავდგეთ ბრაზილიელთა პოზიციებზე და ვნახოთ, რამდენად მართებულია მუშტების ქნევა ჰაერში უკვე წაგებული ბრძოლის [illegible] მორალურ ჩემპიონად [illegible] თავს მხო[illegible] აგეს არც ერთი შეხვედრა. ეს მართლაც ჩინებული მაჩვენებელია, მაგრამ, პირველ რიგში, დაცვისა და არა მთელი გუნდისთვის, მით უფრო ბრაზილიური ფეხბურთისთვის.

ახლა სხვა კუთხით დავსვათ შეკითხვა. განა შეიძლება, რომ გუნდმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ჩემპიონის ტიტულზე, ვერ მოიგოს შვიდიდან 3 შეხვედრა? თუ მორალზეა ლაპარაკი, რა უფლებით აყენებენ ისინი თავს შვედებზე, ესპანელებზე ან არგენტინელებზე უფრო მაღლა? ბრაზილიამ რომ არ წააგო არც ერთი თამაში, ეს, პირველ რიგში, დაცვის მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ვერაფერი სახარბიელო აჩვენა თავდასხმაში და ამიტომაც 3 შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

ვის ვის და პელეს ვერ დავწამებ გულგრილობას ბრაზილიელთა ბედისადმი. ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში იგი მხურვალედ უჭერდა მხარს კუტინიოს, მაგრამ შემდგომში ეყო გამბედაობა ეთქვა: „მიჭირს, ძალზე მიჭირს, როცა ვუყურებ ჩემი გუნდის ასეთ სუსტ თამაშს. არგენტინაში მის სადიდებლად ჩამოვედი, მაგრამ ახლა ამ იმედებს ვმარხავ გუნდთან ერთად. რა სიამოვნებით ჩავიცვამდი ყვითელ მაისურს და ამოვუდგებოდი გვერდში ჩემს დაბნეულ თანამემამულეებს“.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პელემ ჭუდი მოიხადა პატივისცემის ნიშნად ახალი ჩემპიონის წინაშე. ეს გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე კუტინიოს უსაფუძვლო მტკიცებები. პელემ მოგვიანებით ისიც თქვა, რომ არ უნდა ვიყოთ უკმაყოფილონი შედეგებით. „იმ ფეხბურთით, რაც არგენტინაში ჩავიტანეთ, გუნდმა მაქსიმუმს მიაღწია“.

პელე და მენოტი ამ მხრივ სოლიდარულნი არიან, ვინაიდან როგორც ერთის, ისე მეორისთვის ფეხბურთი, პირველ ყოვლისა, შეტევაა, გოლების გატანა.

ერთხელ ჟურნალისტებმა ჰკითხეს მენოტის: რას იტყვით არგენტინის ნაკრების მეკარე ფილოლი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად რომ დაასახელონ? (სხვათა, შორის სპეციალისტთა შორის იყო ასეთი აზრი). მენოტიმ მხრები აიჩეჩა:

— პირადად ფილოლის წინააღმდეგ არაფერი მაქვს. კარგი ადამიანია და შესანიშნავი მეკარე. მაგრამ მე თუ მკითხავთ, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე არ შეიძლება იყოს არც მეკარე, არც მცველი. ეს ფეხბურთის შეუფასებლობა იქნება. საუკეთესო მოთამაშე უსათუოდ თავდამსხმელთა შორის უნდა ეძებოთ, ვინაიდან ფეხბურთი — შეტევაა.

ამ სიტყვებმა შესაძლოა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა სპეციალისტებზე, როცა მსოფლიოს XI ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ კემპესი დაასახელეს, თუმცა ობიექტურად სხვა უკეთესი კანდიდატის შერჩევა ძნელი იყო.

ვინ არის კემპესი, როგორ მოვიდა ფეხბურთში და რა როლი ითამაშა მან არგენტინელთა ტრიუმფში?

ამ კითხვებზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა ინგლისურ ჟურნალ „უორლდ სოკერში“ დაბეჭდილი წერილი, რომელიც მთლიანად მარიო კემპესს ეძღვნება:

„კემპესი ყურადღებას არ აქცევს იმ აურზაურს, რაც პრესამ მისი სახელის გარშემო ატეხა. იგი ვერ იტანს სიტყვა „კრეკს“ და ცდილობს დაარწმუნოს ჟურნალისტები, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ერთხელ მას ჰკითხეს: იცით თუ არა, რომ არგენტინაში ყველა იმედს თქვენ გიკავშირებენო? კემპესმა უარყოფითად გააქნია თავი — ეს არასდროს არ გამიგია. მე ერთი იმ ოცდაორი ფეხბურთელთაგანი ვარ, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება დაიცვას თავისი ქვეყნის ღირსება. ძირითად შემადგენლობაში რომც არ დამაყენოს მენოტიმ, მაინც ბედნიერი ვიქნები, ვინაიდან ჩემს გარშემო ამდენი დიდი ფეხბურთელია“.

შარშან გაზაფხულზე კემპესის ყოფნა ნაკრებში სათუო იყო. იმ პერიოდში არგენტინის გუნდი მადრიდის „რეალის“ 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ტურ-

(დასასრული მე-4 გვ.)

# არ-გენ-ტი-ნა

(დასასრული)

ნირში თამაშობდა და მენოტიმ არც ისურვა მისი ნახვა. „ნაკრების მწვრთნელს მაშინ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ მოეწვია გუნდში არც ერთი „უცხოელი ვარსკვლავი“. მაგრამ შემოდგომაზე აზრი შეიცვალა და სპეციალურად კი გაფრინდა ევროპაში, რათა თავისი თვალით ენახა რამდენიმე არგენტინელი ფეხბურთელის თამაში. ასე აღმოჩნდნენ მენოტის სიაში კემპესი („ვალენსიიდან“), გოლფი („რეალ-მადრიდიდან“), აიალა (მადრიდის „ატლეტიკოდან“), პიაცა („სენტ-ეტიენიდან“), კარლოს მორეტე („ლას პალმასიდან“). დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მენოტიმ არჩევანი შეაჩერა კემპესზე, პიაცასა და ვოლფზე.

კემპესი შინ გმირად დაბრუნდა. ესპანეთში თამაშის პირველ სეზონში იგი გახდა უმაღლესი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი (24 გოლი). მეორე სეზონში კი ლეგენდარული დი სტეფანოს რეკორდი გაიმეორა (34 მატჩი, 28 გოლი).

მაგრამ მენოტის მოსვენებას არ აძლევდა კემპესის პრობლემა — სად, რომელ ადგილზე დაეყენებინა იგი? „ვალენსიაში“ მას სხვადასხვა დროს შესრულებული ჰქონდა 3 სხვადასხვა როლი. ჯერ შეტევის წინა ხაზზე იყო, მერე მარცხენა ფლანგზე, ბოლოს კი შემტევი ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა. ჟურნალისტები მარჩიელობდნენ — რა ადგილზე გაამწესებს მენოტი კემპესს?

კემპესს, რა თქმა უნდა, შეეძლო ცენტრში თამაში, მაგრამ მაშინ ლუკესთვის უნდა მოეძებნათ სხვა ადგილი. ეს კი აშკარად არ უნდოდა მენოტის. თან არც იცოდა გამოდგებოდა თუ არა იგი სხვა ამპლუაში. კემპესის გამოყენება კი უმტკივნეულოდ შეიძლებოდა წინა ხაზზეც და მარცხენა ნახევარმცველადაც. მწვრთნელმა იგი სამივე ადგილზე გასინჯა.

XI ჩემპიონატის პირველ მატჩში უნგრეთის წინააღმდეგ კემპესი და ლუკე შეტევის წინა ხაზზე თამაშობდნენ. კემპესმა გოლი გაიტანა. იმავე როლში გამოვიდა ფრანგებთან და ერთ-ერთი შეტევა ლამაზი გოლით დააგვირგვინა,



მენოტი.

●

მაგრამ ამ დღეს ტრავმა მიიღო ლუკემ და მომდევნო შეხვედრაში იტალიის ძლიერ გუნდთან კემპესმა ცენტრფორვარდის გამოთავისუფლებული ადგილი დაიკავა. თამაში არ გამოვიდა. იგი დიდხანს ელოდა ბურთს მარტოობაში და ვერაფრით ვერ მიაგნო გზას კარისკენ — კემპესი დაიკარგა ლურჯი მაისურების ტყეში. ეს ცხადად იგრძნო მენოტიმ.

კემპესმა კი დაამტკიცა, რომ უსიტყვოდ ესმოდა მენოტისა. პოლონელებმა არგენტინელი ფორვარდი პერსონალურად ჩააბარეს ვლადისლავ ჟმუდას, გამოცდილ და ენერგიულ მცველს, რომელმაც 4 წლის წინ მთლიანად გამოთიშა თამაშიდან ქაირზინიო და გერდ მიულერი. ამჯერად ჟმუდას ოსტა- [illegible]

[illegible] აწყო ამ თამაშში. მენოტიმ ახალი გადაწყვეტილება მიიღო — უკან დახია კემპესი შემტევი ნახევარმცველის ადგილზე. არგენტინის გუნდს პერუსთან რთული ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი და კემპესი, მწვრთნელის ჩანაფიქრით, ამ დღეს პირველი ვიოლინო უნდა ყოფილიყო. შემტევმა ნახევარმცველმა ბრწყინვალედ შეასრულა როლი და 2 გოლი გაიტანა თავის წილ.

მერე კი უმძიმესი მატჩი ფინალში ჰოლანდიასთან, რომელმაც 4 წლის წინ გამანადგურებელი მარცხი აგემა არგენტინას. მენოტი მზად იყო რევანშისთვის, თუ კემპესი იტყოდა თავის სიტყვას. და მან თქვა კიდეც იგი 2 დიდებული გოლის სახით.

— არასდროს არ ვყოფილვარ ისეთი დაღლილი და ბედნიერი, როგორც დღეს. — განაცხადა კემპესმა ფინალის შემდეგ. — რა ბრწყინვალე გუნდი შექმნა მენოტიმ? პირველად ჩემს ცხოვრებაში სულ ერთი იყო, ვის გაქონდა გოლი, მე თუ სხვას. ჩვენ ზუსტი გასაღები მოვუძებნეთ ჰოლანდიელთა კარს და ვგრძნობდით, რომ ერთ დიდ საქმეს ვაკეთებდით, მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც.

აი, ასეთია კემპესი, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის გმირი, რომელმაც ეს-ეს არის გადააბიჯა 24 წელს. არც ერთი სიტყვა თავის თავზე, არც ერთი სიტყვა იმ დიდ როლზე, რომელიც დააკისრა მას მწვრთნელმა, გუნდმა, ქვეყანამ. კემპესი მუდამ აღტაცებული იყო სხვებით. კემპესი დღესაც მოწიწებით იხსენებს მენოტის, რომელიც თანამედროვე ფეხბურთის უდიდეს სპეციალისტად მიაჩნია.

კემპესი ყველაფერში ჩვეულებრივია, თავის პირველ ტრიუმფშიც კი. და როგორც ყველა არგენტინელმა ბიჭუნამ თამაში ბავშვობაშივე დაიწყო. 10 წლის მარიო მამამ ქალაქ ბელვილის კლუბში „ტალიერესში“ მიიყვანა. კემპესი ჭაბუკთა ერთ-ერთ გუნდში ჩარიცხეს.

იგი მუდამ თავდასხმის ცენტრში თამაშობდა. 1973 წელს კემპესმა სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო, როგორც კანის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელმა. იგი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩარიცხეს ბოლივიელებთან მატჩის წინ. კემპესმა თავისი პირველი ბრძოლა ნაკრებში დიდი აზარტითა და მონდომებით ჩაატარა, მაგრამ შესვენებამდე იმდენი ენერგია დახარჯა, რომ მეორე ტაიმისთვის ძალა აღარ ეყო. მწვრთნელმა იგი შეცვალა.

მერე კემპესმა ისევ აალაპარაკა სპეციალისტები. 1974 წლის ეროვნულ ჩემპიონატში 29 გოლი გაიტანა, მომდევნო წელს — 35. 1976 წელს კემპესი „ვალენსიაში“ გადავიდა.

არგენტინის საუკეთესო ფეხბურთელს მონაწილეობა აქვს მიღებული მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატში. მაშინ 20 წლის კემპესი შეუმჩნეველი დარჩა.

დღეს კი... კემპესმა ჩემპიონის ოქროს მედლის გარდა 2 სპეციალური პრიზი მიიღო: ერთი — როგორც უძლიერესმა ბომბარდირმა და მეორე — როგორც ტურნირის საუკეთესო მოთამაშემ.

დღევანდელი კემპესი, ისევე როგორც არგენტინის გუნდი, უმაღლესი საფეხბურთო ოსტატობის ეტალონია. კემპესზე წიგნებს წერენ, ფილმებს იღებენ. კემპესი მოდაშია, ისე როგორც თავის დროს მოდაში იყვნენ ანდრადე და პლანიჩკა, მეაცა და ლეონიდასი, ადემირი და მეტიუზი, დიდი და გარინჩა, მასოპუსტი და ეუსებიო, ჩარლტონი და მური, პელე და ბეკენბაუერი. 24 წლის ასაკში კემპესმა ყველაფერი მისცა ფეხბურთს, მაგრამ სანაცვლოდაც ბევრი მიიღო. მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირი ისაა, რომ 24 წლის ასაკში კემპესს ეყო სიბრძნე და ისეთივე თავმდაბალი, მშვიდი და მორიდებული დარჩა, როგორიც თავისი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში იყო.

ნ. გუგუშვილი.

●

**რედაქციისგან:** ამით ვამთავრებთ ფეხბურთში არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებული სპორტული ჟურნალისტის ნ. გუგუშვილის წერილების სერიას.

## რეგბი

# 20 წუთით ადრე

[illegible] ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე საქართველო გაისად სამი კოლექტივით იქნება წარმოდგენილი. გარდა დედაქალაქის „ლოკომოტივისა“, რომელმაც წლეულს „ბრინჯაო“ მოიპოვა და საკავშირო თასის გათამაშებაშიც წარმატებით გამოდის, „ელვამ“ 8 გუნდის ტურნირში შეძლო უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება, ხოლო ქუთაისის „სახლმშენმა“ წლეულს პირველად მოიპოვა უფლება გაისად ოქროს მედლებისთვის იბრძოლოს.

ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რეგბიმ საქართველოში სათანადოდ მოიკიდა ფეხი, სპორტის მოყვარულ ახალგაზრდებში საკმაოდ პოპულარულია და შემდგომი წარმატებებისთვის ზრუნვა ამ სახეობის კიდევ უფრო განვითარებას მოითხოვს.

საქართველოს სპორტკომიტეტის ზრუნვით რესპუბლიკაში სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები იწყობა. რეგბი დაინერგა ჩოხატაურში, ჭიათურაში და, საკმაოდ მტკიცედაც. ჩოხატაურელებმა საკავშირო ასპარეზობასაც უმასპინძლეს, ხოლო ამას წინათ მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში ისახელეს თავი.

წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატი ახალი ფორმულით ტარდება. მასში უმაღლესი ლიგის ბინადარნი — „ლოკომოტივი“ და „ელვა“ არ მონაწილეობენ. ეს იმით იყო ნაკარნახევი, რომ სხვა გუნდების დაინტერესება გაზრდილიყო, ხელი შეწყობოდა ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას.

როგორც ცნობილია, წლევანდელ რესპუბლიკურ პირველობაში იბრძვიან თბილისის „სპარტაკი“, პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების კოლექტივები, ქუთაისის „სახლმშენი“ (ჩემპიონატის დაწყებისას იგი უმაღლესი ლიგის კოლექტივი არ იყო), ჩოხატაურის „ლელო“ და ჭიათურის „იმერეთი“.

პირველი წრის მერე ლიდერობა ხელთ იგდო „სპარტაკმა“, რომელსაც 9 ქულა დაუგროვდა, მეორე ადგილზე იმყოფებოდა „სახლმშენი“ — 8 ქულა, მესამეზე — სპი — 7 ქულა. ჩოხატაურელებს 4, მედინსტიტუტის გუნდს კი 2 ქულა ჰქონდათ. ჭიათურის კოლექტივმა პირველ წრეში ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გუნდი წლეულს შეიქმნა და იმედის მომცემი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე „იმერეთი“ თავის სიტყვას იტყვის...

და აი, გუშინწინ თბილისში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები. მინდორზე პირველნი გამოვიდნენ „სახლმშენი“ და მედინსტიტუტი. ცხადია, ქუთაისელებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ — 26:0, მაგრამ მომავალი მედიკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თანამედროვე რეგბის ელემენტებს კარგად იცნობენ, შესანიშნავად იყენებენ, ოღონდ მობილიზება და საერთო ფიზიკური მომზადება აკლიათ.

„სპარტაკმა“ იოლად დაამარცხა ჭიათურის გუნდი — 81:3, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ჩოხატაურის კოლექტივების მატჩი შეწყდა საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე, როცა ანგარიში 50:0 იყო სტუდენტების სასარგებლოდ.

საქმე იმაშია, რომ ჩოხატაურის გუნდმა თბილისში დროულად ჩამოსვლა ვერ შეძლო, ნამგზავრმა სპორტსმენებმა კი ბრძოლას ვერ გაუძლეს, მინდვრიდან თანდათან გავიდნენ და როცა მოედანზე 10 ჩოხატაურელი დარჩა, თამაში შეწყდა.

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ჩეხოსლოვაკია

პრაღის „დუკლას“ მდგომარეობა კვლავინდებურად მტკიცეა. VIII ტურში მან ანგარიშით 4:2 სძლია პლზენის „შკოდას“ და ახლა 8 თამაშიდან 13 ქულა აქვს. ოსტრავის „ბანიკმა“ მოუგო ბანსკა-ბისტრიცას „დუკლას“ — 4:0 და 11 ქულით II ადგილზეა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა მატჩი ბრატისლავაში ადგილობრივ „ინტერსა“ და ჩემპიონს — „ზბროიოვკას“ (ბრნო) შორის. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. „ზბროიოვკა“ 6 ქულით მხოლოდ XIII ადგილზეა.

### უნგრეთი

ლიდერი — ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ VIII ტურში მასპინძლობდა „პეჩს“. სტუმრების მეკარე კატცირიცი, რომლის სიმაღლეა 194 სმ (მას ამას წინათ ჩინებული დებიუტი ჰქონდა ნაკრებში საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ), კარგად თამაშობდა, მაგრამ „ფერენცვაროშმა“ მაინც დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:1. „ჰონვედმა“ (ბუდაპეშტი), რომელიც ლიდერს კვალდაკვალ მისდევს, ფრედ (0:0) ითამაშა სტუმრად „შეკეშფეჰერვართან“.

8 ტურის შემდეგ „ფერენცვაროშს“ 14 ქულა აქვს, 12 ქულით II ადგილზეა „ჰონვედი“.

### ბულგარეთი

9 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში პირველ 3 ადგილზე სოფიის გუნდები არიან.

ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ“ ანგარიშით 2:0 მოუგო „სლოვენს“ და ახლა 13 ქულით პირველ ადგილზეა. წარმატებით ითამაშა „ლევსკი-სპარტაკმაც“, რომელმაც პლოვდივში დაამარცხა „ლოკომოტივი“ ანგარიშით 1:0. ახლა „ლევსკი-სპარტაკი“ 12 ქულით მეორეა. ჩემპიონმა — სოფიის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 1:0 მოუგო პლევენის „სპარტაკს“ და 11 ქულით III ადგილზე იმყოფება.

### შვეიცარია

ძალზე მარცხიანად თამაშობს ჩემპიონი — ციურიხის „გრასჰოპერსი“. X ტურში მან საკუთარ მინდორზე წააგო (2:3) „სენტ-გალენთან“ და ახლა მხოლოდ VII ადგილზეა.

ლიდერს — „სერვეტს“ (ჟენევა), 10 თამაშიდან 15 ქულა აქვს. განვლილ ტურში იგი შეხვდა თავისივე ქალაქის გუნდს „შენუას“ და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 5:1. ასევე 15 ქულით, ოღონდ ბურთების უარესი სხვაობით, მეორე ადგილზეა ბერნის „იანგ ბოისი“, რომელმაც ანგარიშით 2:0 მოუგო „სიონს“.

### ავსტრია

IX ტურში ქულა დაკარგა ლიდერმა „ვოესტ“-მა (ლინცი), რომელიც სტუმრად თამაშობდა „ვინერშპორტკლუბ-პოსტთან“ — 0:0. ამის მიუხედავად ლინცელები 13 ქულით კვლავინდებურად პირველ ადგილზე არიან, ვინაიდან ქულა დაკარგა უახლოესმა მდევარმა „რაპიდმაც“ (ვენა), რომელმაც გრაცში ფრედ ითამაშა (0:0) „შტურმთან“ და ახლა 12 ქულა აქვს. 11 ქულით III ადგილზეა „აუსტრია“ (ვენა). მან საკუთარ მინდორზე ანგარიშით 4:1 სძლია „გრაცერ ატლეტიკ კლუბს“.

## ფეხბურთი

**რეიკიავიკში** შედგა უეფა-ს თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი ტურის მატჩი ადგილობრივ „ვესტმანაეიარსა“ და პოლონეთის „შლიონსკს“ შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „შლიონსკმა“.

**გაიმართა** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის

## დ. ბერუაშვილი



იგი მოულოდნელად წავიდა ჩვენგან და ყველას დაგვწყვიტა გული. ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ აღარ არის სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, რომელიც ამქვეყნად სიკეთისა და პატიოსნების მქადაგებლად იყო მოსული. ბედის სიმუხთლე... 43 წლის ასაკში ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ცნობილი ქართველი მოჭიდავე დურმიშხან ლაზარეს ძე ბერუაშვილი.

რაინდულ სპორტს — ქართულ ჭიდაობას იგი მშობლიურ სოფელში ფცაში (ქარელის რაიონი) ეზიარა. აქ, ნახერხმოყრილ საჭიდაოზე ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა საინტერესო შეჯიბრებები და დურმიშხანიც მათი უცვლელი მონაწილე იყო. გატაცებას სიყვარული მოჰყვა, სიყვარულს ახალი, დაულაშქრავი სიმაღლეების დაპყრობის სურვილი.

დიდი სამამულო ომის შემდეგ დურმიშხანი გორში გადავიდა საცხოვრებლად და გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით შეუდგა სპორტული ოსტატობის სრულყოფას. და აი, პირველი გამარჯვებაც მოვიდა: იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში. ნიჭიერმა ფალავანმა კიდევ 7-ჯერ მიაღწია მსგავს წარმატებას. იგი სრულყოფილად დაეუფლა ქართული ჭიდაობის ილეთებს და შემდეგ, როცა უკვე სამბოში დაიწყო ვარჯიში, აქაც გამობრწყინდა მისი ოსტატობა.

1960 წლიდან დურმიშხანი სისტემატურად მონაწილეობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში და როგორც წესი, მუდამ გამარჯვებულის ოქროს მედლით იმშვენებდა მკერდს, 1962 წელს კი სამბოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. შემდეგ ძიუდოში სცადა ძალა და აქაც გამოიჩინა თავი. როგორც პერსპექტიული მოჭიდავე, დ. ბერუაშვილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს. ჩვენი ქვეყნის პირველ გუნდთან ერთად მან მრავალჯერ იასპარეზა ევროპის ჩემპიონატებში და საპრიზო ადგილის მიღმა არასოდეს დარჩენილა. მაღალი სპორტული მაჩვენებლებისთვის დურმიშხან ბერუაშვილს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

ჭაბუკობის წლებში და მერეც, როცა უკვე აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ჩამოსცილდა, დურმიშხან ბერუაშვილი მუდამ ჩვენი საჭიდაო ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. იგი ნორჩ გორელ მოჭიდავეთა ხშირი სტუმარი იყო — ასწავლიდა, მიუთითებდა, გამოცდილებას უზიარებდა. დურმიშხანს ქართული სპორტი, ქართული ჭიდაობა უსაზღვროდ უყვარდა და ამ სიყვარულში ვლინდებოდა მისი მამულიშვილობა. სიკეთე, უშუალობა, პატიოსნება, პრინციპულობა — აი, ის თვისებები, რომლითაც იგი გამოირჩეოდა და რაც ყოველდღიურ საქმიანობაში და ადამიანებთან ურთიერთობაში ცნაურდებოდა. ამიტომ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობისთვის ორმაგად მძიმეა ეს დანაკლისი.

**ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია; ფიზკულტურისა და სპორტის გორის საქალაქო კომიტეტი.**

## თამაშობენ ჩვენი მეტოქეები

X ტურის მატჩები. თბილისის „დინამოს“ მეტოქემ უეფა-ს თასზე — დასავლეთ ბერლინის „ჰერტამ“ მარცხი განიცადა ბილეფელდის „არმინიასგან“ ანგარიშით 1:2.

მოსკოვის ტორპედოელთა მეტოქემ ამავე გათამაშებაში — „შტუტგარტმა“ ითამაშა მიუნხენის „ბაიერნთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

აღსანიშნავია, რომ „ჰერტაც“ და „შტუტგარტიც“ საკუთარ მინდვრებზე გამოდიოდნენ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭიდაობის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02267